


გამოყენების ინსტრუქცია
ინგალიპტი-H
INGALIPT-H



შემადგენლობა:

აქტიური ნივთიერება: სტრეპტოციდი ხსნადი, ნორსულფაზოლის ნატრიუმი; 1 ბალონი შეიცავს სტრეპტოციდის ხსნადს 0,75 გ., ნორსულფაზოლს ნატრიუმი 0,75 გ.,

დამხმარე ნივთიერება: თიმოლი, პიტნის ზეთი, ევკალიპტის ზეთი, გლიცერინი, ეთანოლი 96%, პოლისორბიტი 80, საქაროზა, გასუფთავებული წყალი.

წამლის ფორმა: საინჰალაციო სპრეი.

გამჭვირვალე სითხე ღია-ყვითელიდან მუქ-ყვითელ ფერამდე სპეციფიკური სუნით.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: საშუალება, რომელიც მოქმედებს რესპირატორულ სისტემაზე. პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ყელის დაავადებებისას. სხვა ანტისეპტიკურები. ათქ კოდი RO2A A20.

ფარმაკოლოგიური თვისებები. ინგალიპტი-H გააჩნია ანტიბაქტერიული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, აგრეთვე გამაგრებელი მოქმედება. აღნიშნული ფარმაკოლოგიური თვისებების გაერთიანება უზრუნველყოფს ზედა სასუნთქი გზების და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებების პათოგენურ კომპლექსურ თერაპიას. ინგალიპტი-H არ ავლენს ულცეროგენურ და ზოგადტოქსიკურ მოქმედებას ორგანიზმზე. ინგალიპტი-H გამოიყენება ადგილობრივ საინჰალაციო მოხმარებისათვის და ჰქმნის თერაპიულ კონცენტრაციას ანთების არეში. სისხლძრღვევით ნაწილობრივ შეიწოვება სულფანილამიდები (სტრეპტოციდი ხსნადი და ნორსულფაზოლის ნატრიუმი), რომელიც ერთვის სისხლში ცილებს: სტრეპტოციდი ხსნადი 12-14%, ნორსულფაზოლის ნატრიუმი 55%. ბიოტრანსფორმაციის პროცესში წარმოიქმნება სულფანილამიდების აცეტილირებული ფორმები, რომელიც გამოიყოფა ორგანიზმიდან თირკმელების საშუალებით. სტრეპტოციდი ხსნადის ორგანიზმიდან გამოსვლის პერიოდია 10 სთ, ნორსულფაზოლის ნატრიუმი 1,2 სთ.

ჩვენება გამოყენებისათვის: ინგალიპტი-H გამოიყენება ცხვირ-ხახისა და პირის ღრუს მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა: ტონზილიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, აფტოზური და წყლულოვანი სტომატიტები.

უკუჩვენება: სულფანილამიდებისა და ეთერზეთების მიმართ მომატებული მგრძნობელობა; ბავშვები ასაკი 3 წლამდე.

უსაფრთხოების ზომები გამოყენებისას: პირველი გამოყენების წინ რამოდენიმეჯერ დააჭირეთ გამოსასხურებელს ძლიერი ნაკადის წამოსვლამდე. პრეპარატის შესხურების წინ საჭიროა პირის ღრუში ადუღებული თბილი წყლის გამოვლება. პირის ღრუს დაზიანებულ ზედაპირზე (ეროზია, წყლული) არსებული ნადები რეკომენდებულია ფრთხილად მოვიცილოთ ტამპონის მეშვეობით. წამლის შესხურების შემდეგ თავი შეიკავოთ საკვების მიღებისაგან 15-30 წთ. განმავლობაში. ყოველი მანიპულაციის შემდეგ გაასუფთავეთ სარქველი, გაავლეთ თბილ წყალში. ბალონს დაახურეთ ხუფი, დაიცავით დაბინძურებისაგან.

გამოყენების წინ აღერგისაკენ მიდრეკილების მქონე პირებმა მიმართონ ექიმს.

განსაკუთრებული რჩევები:

პრეპარატის გამოყენება ფეხმძიმობის და ლაქტაციის პერიოდში.
პრეპარატის გამოყენება ფეხმძიმობის და ლაქტაციის პერიოდში დასვებულია, მაგრამ აუცილებელია პრეპარატის დოზირების რეჟიმის მკაცრი დაცვა.

ავტოტრანსპორტის მართვისას ან სხვა მექანიზმებთან მუშაობისას რეაქციის სიჩქარეზე ზემოქმედება.

პრეპარატის მიღება არ მოქმედებს ავტოტრანსპორტის მართვისას ან სხვა მექანიზმებთან მუშაობისას რეაქციის სიჩქარეზე ზემოქმედებაზე, მაგრამ მძღოლებმა უნდა გაითვალისწინონ ალკოჰოლის ტესტის შედეგებზე შესაძლებელი ზემოქმედება.

ბავშვები. ბავშვების მკურნალობა საჭიროა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. მიიღება ბავშვებში 3 წლის ზევით, რეფლექტორული ბრონქოსპაზმის განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით.)

მიღების წესები და დოზები: მოზრდილებსა და 3 წლის ზევით ბავშვებში.

ინგალიპტი-H გამოყენების წინ ფლაკონს უკეთდება გამოსასხურებელი თავი, ბალონი რამოდენიმეჯერ შეანჯღრეთ, რის შემდეგაც თითის დაჭერით თანაბრად შეასხურეთ დაზიანებულ ადგილს.)

ინჰალაციის ერთი სეანსის დროს ხორციელდება 2-3- შეფრქვევა და უნდა გაჩერდეს პირის ღრუში 5-7 წთ. შესხურება წარმოებს დღეში 3-4-ჯერ. მკურნალობის კურსი შეადგენს 7-10 დღე.

ჭარბი დოზირება: პრეპარატის ზედმეტი დოზირება აღწერილი არ არის. შესაძლებელია გვერდითი მოვლენების გაძლიერება.

მკურნალობა: პრეპარატის მიღების შეწყვეტა, პირის ღრუს ანადუღარი თბილი წყლით გამოვლება.)

გვერდითი მოვლენები: ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საერთო სისუსტე, მძიმედ ჩასუნთქვა, გულისრევა, ღებინება, ადგილობრივი ეფექტები (პირის ღრუს წვის შეგრძნება, ყელის ფხაჭნის შეგრძნება) ალერგიული რეაქციები კანზე გამონაყარის სახით, ქავილი, საკონტაქტო ადგილების დაბუჟება, შესაძლებელია ანგიონევროზული დაჭიმულობის განვითარება. ბავშვებში შესაძლებელია რეფლექტური ბრონქოსპაზმი, გამოწვეული ეთერზეთებით.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:

ინგალიპტი-H ამინობენზოლის მჟავებთან (ნოვოკაინი, ანესთეზინი, დიკაინი) ერთდროულად გამოყენებისას ხდება სულფანილამიდების ანტიბაქტერიული აქტიურობის ინაქტივაცია.

ვარგისიანობის ვადა: 1,5 წელი. შეფუთვაზე აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია!

შენახვის პირობები: შეინახეთ ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე! ცეცხლისაგან მოშორებით, ტემპერატურა +3+C-დან +35+C-მდე.

შეფუთვა: ალუმინის ბალონში 30 გ.

გაცემის პირობა: რეცეპტის გარეშე (III ჯგუფი).

მწარმოებელი დასახელება და მისამართი: შპს "მიკროფარმი". უკრაინა, 61013, ქ. ხარკოვი, შევჩენკოს ქ. 20.

